

ჩანართი: ინფორმაცია მომხმარებლისთვის

ლიოტონი 1000[®] გელი
ჰეპარინის ნატრიუმის მარილი
1000 სე/გ
გელი

მოცემული სამკურნალო საშუალების გამოყენების დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხეთ სრული ჩანართი, რადგან ის შეიცავს თქვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

მოცემული პრეპარატი ყოველთვის გამოიყენეთ ამ ჩანართში მოყვანილი მითითებების ზუსტად დაცვით ან მკურნალი ექიმის ან ფარმაცევტის დანიშნულების შესაბამისად.

- შეინახეთ ეს ჩანართი. შეიძლება, კვლავ დაგჭირდეთ მისი გადაკითხვა.
- მიმართეთ ფარმაცევტს, თუ დაგჭირდათ დამატებითი ინფორმაცია ან რჩევა.
- რომელიმე გვერდითი მოქმედების გამოვლენის შემთხვევაში მიმართეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს. ეს ასევე ეხება ნებისმიერ შესაძლო გვერდით მოქმედებას, რომელიც არ არის აღწერილი მოცემულ ჩანართში. იხ. პარაგრაფი 4.
- თუ 7 დღის გასვლის შემდეგ სიმპტომები გაღრმავდა, ან მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, მიმართეთ ექიმს.

მოცემული ჩანართის შინაარსი:

1. რას წარმოადგენს პრეპარატი ლიოტონი 1000[®] გელი და რისთვის გამოიყენება
2. რა უნდა იცოდეთ პრეპარატ ლიოტონი 1000[®] გელის გამოყენებამდე
3. როგორ გამოიყენება პრეპარატი ლიოტონი 1000[®] გელი
4. შესაძლო გვერდითი მოქმედება
5. პრეპარატ ლიოტონი 1000[®] გელის შენახვის პირობები
6. შეფუთვის შიგთავსი და დამატებითი ინფორმაცია

1. რას წარმოადგენს პრეპარატი ლიოტონი 1000[®] გელი და რისთვის გამოიყენება

პრეპარატ ლიოტონი 1000[®] გელის მოქმედ ნივთიერებას წარმოადგენს ჰეპარინი (ჰეპარინის ნატრიუმის მარილის ფორმით). ლიოტონი 1000[®] გელი გამოდის გელის სახით, რომელიც გამიზნულია კანზე წასასმელად. დაზიანებულ უბნებზე წასმისას ჰეპარინი ხელს უშლის თრომბების წარმოქმნას ზედაპირულ ვენებში, აუმჯობესებს ადგილობრივ მიკროცირკულაციას (სისხლის ცირკულაციას კაპილარებში) და ამცირებს შეშუპებას.

ლიოტონი 1000® გელი გამოიყენება:

- სიმპტომური მკურნალობისთვის ზედაპირული ვენების დაავადებების დროს (როგორცაა, მაგალითად, დაავადებები, რომლებსთვისაც დამახასიათებელია ვენების ვარიკოზული გაგანიერება და მათი გართულებები: თრომბების წარმოქმნა დაზიანებულ ვენებში ვენის კედლის ანთებით ან ანთების გარეშე, ვენების გარშემო არსებული ქსოვილების ანთება, ასევე, წყლულები კანზე ვენების ვარიკოზული გაგანიერების არეში),
- ოპერაციული ჩარევის შედეგად დაზიანებული ვენის კედლის ანთების სამკურნალოდ;
- იმ მოვლენების გამოხატულობის შესამცირებლად, რომლებსაც ადგილი აქვს ვენებზე ჩატარებული ოპერაციული ჩარევების შემდეგ (მაგალითად, სილურჯე და შეშუპება);
- შეშუპებისა და სილურჯის მოსახსნელად სახსრების და კუნთების მიდამოში მათი ტრავმის ან დაჭიმულობის შემთხვევაში.

ლიოტონი 1000® გელის გამოყენება შეიძლება ცალკე, მონოთერაპიის სახით, ადგილობრივი მკურნალობის ჩვენების არსებობისას ან კომბინაციაში სისტემურ თერაპიასთან.

2. რა უნდა იცოდეთ პრეპარატ ლიოტონი 1000® გელის გამოყენებამდე

არ გამოიყენოთ პრეპარატი ლიოტონი 1000® გელი

- ჰეპარინის ნატრიუმის მარილზე ან მოცემული სამკურნალო საშუალების ნებისმიერ სხვა კომპონენტზე ალერგიის არსებობის შემთხვევაში (ჩამოთვლილია პარაგრაფში 6).

გაფრთხილება და სიფრთხილის ზომები

პრეპარატ ლიოტონი 1000® გელის გამოყენებამდე კონსულტაციისთვის მიმართეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს:

- თუ გაქვთ სისხლდენისადმი მომატებული მიდრეკილება. ამ შემთხვევაში მკურნალმა ექიმმა გულდასმით უნდა შეაფასოს პრეპარატ ლიოტონი 1000® გელით მკურნალობის შესაძლებლობა;
- თუ პრეპარატ ლიოტონი 1000® გელის გამოყენების შემდეგ გამოგივლინდათ ალერგიის ნიშნები. ამ შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს პრეპარატ ლიოტონი 1000® გელით მკურნალობა;
- თუ პრეპარატის წასმის ადგილზე გაქვთ ღია ჭრილობა, სისხლდენა კანზე ან კანის ინფექცია: არ შეიძლება პრეპარატი ლიოტონი 1000® გელის წასმა ასეთ ადგილებზე; ლიოტონი 1000® გელი არ გამოიყენება ისეთ უბნებზე, რომლებიც არ არის დაფარული კანით (მაგალითად, სასქესო ორგანოები, პირი).

ბავშვები და მოზარდები

ბავშვებსა და მოზარდებში ლიოტონი 1000[®] გელის გამოყენება არ არის რეკომენდებული, რადგან ამ ასაკობრივ ჯგუფში პრეპარატის უსაფრთხოება და ეფექტიანობა დადგენილი არ არის.

სხვა სამკურნალო საშუალებები და პრეპარატი ლიოტონი 1000[®] გელი

თუ იყენებთ, ახლო წარსულში იყენებდით ან შეიძლება გამოგეყენებინათ ნებისმიერი სხვა სამკურნალო საშუალება, აცნობეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

დაიცავით განსაკუთრებული სიფრთხილე, თუ იღებთ პერორალურ ანტიკოაგულანტებს (ე.ი. სამკურნალო საშუალებებს თრომბოზის წარმოქმნის პროფილაქტიკისთვის). ამ შემთხვევაში, კანზე ჰეპარინის წასმამ შეიძლება ხელი შეუწყოს სისხლის შედედების დროის გახანგრძლივებას.

ორსულობა, ძუძუთი კვება და შვილოსნობის ფუნქცია

ცნობები პრეპარატ ლიოტონი 1000[®] გელის გამოყენების შესახებ ორსულობის ან ლაქტაციის პერიოდში არ არსებობს.

თუ ხართ ორსულად ან ბავშვს ძუძუთი კვებავთ, ფიქრობთ, რომ ხართ ორსულად, ან გეგმავთ ორსულობას, მოცემული პრეპარატის მიღებამდე კონსულტაციისთვის მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

ზემოქმედება სატრანსპორტო საშუალებების მართვის და მექანიზმებთან მუშაობის უნარზე პრეპარატი ლიოტონი 1000[®] გელი არ ახდენს გავლენას ან უმნიშვნელო გავლენას ახდენს სატრანსპორტო საშუალებების მართვის და მექანიზმებთან მუშაობის უნარზე.

პრეპარატი ლიოტონი 1000[®] გელი შეიცავს მეთილპარაჰიდროქსიბენზოატს (E218), პროპილპარაჰიდროქსიბენზოატს (E216), ნეროლის არომატიზატორს და ლავანდის ზეთს

ეს პრეპარატი კონსერვანტების სახით შეიცავს მეთილპარაჰიდროქსიბენზოატს (E218) და პროპილპარაჰიდროქსიბენზოატს (E216). მათ შეუძლია გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები, შესაძლოა, შენელებული ტიპის რეაქციები.

ამ სამკურნალო საშუალების შემადგენლობაში შედის არომატიზატორები, რომლებიც შეიცავს ციტრალს, ციტრონელოლს, კუმარინს, D-ლიმონენს, ფარნეზოლს, გერანიოლს და ლინალოლს. ნივთიერებებს ციტრალს, ციტრონელოლს, კუმარინს, D-ლიმონენს, ფარნეზოლს, გერანიოლს და ლინალოლს შეუძლია გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.

3. როგორ გამოიყენება პრეპარატი ლიოტონი 1000[®] გელი

მოცემული სამკურნალო საშუალების გამოყენებისას მკაცრად დაიცავით მკურნალი ექიმის ან ფარმაცევტის მითითებები. ნებისმიერ საკითხზე ეჭვის არსებობის შემთხვევაში კონსულტაციისთვის მიმართეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

გამოყენების წესი და დოზები

კანის დაზიანებულ უბანზე წაისვით გელი დღე-ღამეში 1-3-ჯერ და მასაჟის მოძრაობით შეიზილეთ. რეკომენდებულია ტუბიდან გამოუშვათ 3-10 სმ სიგრძის გელი. თუ სიმპტომები გაგიღრმავდათ ან მდგომარეობა არ გაუმჯობესდა 7 დღის გასვლის შემდეგ, უნდა მიმართოთ ექიმს.

რა უნდა გააკეთოთ, თუ წაისვით პრეპარატ ლიოტონი 1000[®] გელის საჭიროზე მეტი რაოდენობა

ცნობები პრეპარატ ლიოტონი 1000[®] გელის დოზის გადაჭარბების შესახებ არ არის მიღებული.

დოზის გადაჭარბების შემთხვევაში ჰეპარინის მოქმედების ნეიტრალიზაცია შესაძლებელია პროტამინ სულფატით.

თუ დაგავიწყდათ ლიოტონი 1000[®] გელის წასმა

თუ დაგავიწყდათ ლიოტონი 1000[®] გელის წასმა, წაისვით ის როგორც კი გაგახსენდებათ. არ გამოიყენოთ პრეპარატის ორმაგი დოზა გამოტოვებულის საკომპენსაციოდ.

მოცემული პრეპარატის გამოყენებასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების შემთხვევაში მიმართეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

4. შესაძლო გვერდითი მოქმედება

როგორც ყველა სამკურნალო საშუალებას, მოცემულ პრეპარატსაც შეუძლია გამოიწვიოს გვერდითი მოქმედება, თუმცა ის არ ვლინდება ყველა პაციენტში.

ჰეპარინის კანზე წასმის შემდეგ ალერგიული რეაქციები აღინიშნება ძალიან იშვიათად (10 000 ნამკურნალები პაციენტიდან 1-ზე ნაკლებს).

ერთეულ შემთხვევებში (სიხშირე უცნობია: არსებული მონაცემების საფუძველზე შეფასებას არ ექვემდებარება) შეიძლება განვითარდეს მომატებული მგრძნობელობის რეაქციები, როგორცაა, კანის გაწითლება და ქავილი. ეს რეაქციები, ჩვეულებრივ, ქრება პრეპარატის გამოყენების შეწყვეტის შემდეგ.

შეტყობინება გვერდითი მოქმედებების შესახებ

რომელიმე გვერდითი მოქმედების გამოვლენის შემთხვევაში მიმართეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს. ეს ასევე ეხება ნებისმიერ შესაძლო გვერდით მოქმედებას, რომელიც არ არის აღწერილი მოცემულ ჩანართში. გვერდითი მოქმედების შესახებ ინფორმაციის გაგზავნით შეგიძლიათ დახმარება ამ სამკურნალო საშუალების უსაფრთხოების შესახებ მეტი ინფორმაციის შეგროვებაში.

5. პრეპარატ ლიოტონი 1000® გელის შენახვის პირობები

მოცემული პრეპარატი შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

ვარგისობის ვადა: 5 წელი.

შეინახეთ არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

ტუბის პირველად გახსნის შემდეგ ვარგისობის ვადა შეადგენს 6 თვეს.

არ გამოიყენოთ მოცემული პრეპარატი გარე შეფუთვასა და ეტიკეტზე წარწერა “ვარგისია“-ს შემდეგ მითითებული ვარგისობის ვადის გასვლის შემდეგ. ვარგისობის ვადის გასვლის თარიღი გულისხმობს მითითებული თვის ბოლო დღეს.

არ გადაადგოთ სამკურნალო საშუალებები კანალიზაციის მილში. არასაჭირო პრეპარატის უტილიზაციის საკითხთან დაკავშირებით მიმართეთ ფარმაცევტს. აღნიშნული ზომები ხელს შეუწყობს გარემოს დაცვას.

6. შეფუთვის შიგთავსი და დამატებითი ინფორმაცია

რას შეიცავს პრეპარატი ლიოტონი 1000® გელი

- მოქმედ ნივთიერებას წარმოადგენს ჰეპარინის ნატრიუმის მარილი: 1000 სე (საერთაშორისო ერთეული) 1 გ გელზე.
- სხვა კომპონენტები: ეთანოლი 96%-იანი, კარბომერი, ტროლამინი, მეთილპარაჰიდროქსიბენზოატი (E218), პროპილპარაჰიდროქსიბენზოატი (E216), ნეროლის არომატიზატორი (ის შეიცავს ლინალოლს, D-ლიმონენს, გერანიოლს, ციტრალს, ციტრონელოლს და ფარნეზოლს), ლავანდის ზეთი (ის შეიცავს ლინალოლს, D-ლიმონენს, გერანიოლს და კუმარინს), წყალი გაწმენდილი.

პრეპარატ ლიოტონი 1000® გელის აღწერა და შეფუთვის შიგთავსი

ლიოტონი 1000® გელი წარმოადგენს თითქმის გამჭვირვალე, უფერო ან ოდნავ მოყვითალო ფერის, ბლანტი კონსისტენციის გელს, არომატული სუნით.

ტუბი შეიცავს 30 გ, 50 გ ან 100 გ გელს.

შესაძლოა, გაყიდვაში ყველა ზომის შეფუთვა არ იყოს წარმოდგენილი.

გაცემის პირობები:

ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი III, გაიცემა რეცეპტის გარეშე.

სარეგისტრაციო მოწმობის მფლობელი და მწარმოებელი

ა. მენარინი ინდუსტრიე ფარმაჩეუტიკე რიუნიტე ს.რ.ლ.
ვია სეტტე სანტი 3
ფლორენცია, იტალია

მოცემული ჩანართის ბოლო რედაქტირების თარიღი: 09.2018 წ.

